ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3965539

ნომერი: AR1575950

თარიღი : 12.02.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 17.05.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად შანავა პ/ნ 19001094896
- ზუგდიდი ც.დადიანის ქ. N 1 ბ. 38

ორგანიზაცია:
- ემიქსი კოდი: 420423679

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3687493
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 17.11.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლუკა გოგლიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. „ემიქსი“
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დიმიტრი გოხელაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 59004001068

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 800.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 393.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2385.9
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1765.2
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 143.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 210.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 267.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 9941.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 9828.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 113.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 27.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 26.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 393.5/800=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2455.5/800=3.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 173.7/800=0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა მოქალაქე ზვიად შანავას 2018 წლის 12 თებერვლის №AR1575950 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას. სამსახურის მიერ 2015 წლის 06 თებერვლის №1699416 გადაწყვეტილებით საკადასტრო კოდი N01.72.14.035.079 მიწის ნაკვეთზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, რომელზეც 2017 წლის 01 მაისს № 3234514 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2017 წლის 17 ნოემბრის № 3687493 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2015 წლის 06 თებერვალს გაცემულ №1699416 გადაწყვეტილებაში - სადაც მოხდა მხოლოდ ახალი საკადასტრო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N01.72.14.035.080 დამატება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 13 მარტის N1450 ბრძანებაში ასევე საკადასტრო კოდი N01.72.14.035.080 ნაკვეთის დამატება, რისთვისაც გაიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის N1-2575 ბრძანება და დაემატა დანართი განაშენიანების რეგულირების ხაზის ჩვენებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 2015 წლის 06 თებერვლის №1699416 გადაწყვეტილების (ცვლილება 2017 წლის 17 ნოემბრის № 3687493 გადაწყვეტილება) საფუძველზე უკვე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას იგივე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე იმსჯელოს კიდევ ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმების თაობაზე და დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.